№ 262 დეკემბერი 10, ხუთშაბათი 1892 ეკემბერი 10, ხუთშაბათი № 262


გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


## „ივერია“

გამოვა 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

თხზულება **თ. გიორგი ერისთავისა**, ავტორის სურათით და ბიოგრაფიით.

ფასი 1 მან. 60 კაპ.

და

ახალი წიგნი

მოლა მასრადინას ამბები.

ფასი 25 კაპ. (3—2)



**მიხ. ალ.-ძე ნასიძე**

იყვანს კვლავინდებურად ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლის პირველ კლასებისათვის მოსამზადებლად.

ადრესი: ვარანცოვის ვიწრო ქუჩა, ძეგლის პირდაპირ, სახლი ზომერისა, № 5. (10—8)


**ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ.**

7 დეკემბერს ტფილისის მიხეილის სამკურნალოში სულ 2 ავადმყოფი იყო, 1 მამაკაცი და 1 დედაკაცი. იმ დღეს მეორე დილამდე სხვა არავინ მიუყვანიათ. მორჩა სრულიად 1 დედაკაცი—ბარბარე შუბლაძისა და გარდაიცვალა ერთი მამაკაცი—ხანი, შვილი სარქისასი.

ახალქალაქისაკენ სოფ. კარზახს 25—30 ნოემბერს იყო სულ ორი ავადმყოფი; კვლავ ავად გახდა 4, მორჩა 1, გარდ. 2 და დარჩა ავადმყოფი 3. სულ 5 ნოემბრიდამ გარდაცვლილა 9 კაცი. იქნება მეტიც გარდაიცვალა, მაგრამ ამის გაგება შეუძლებელია, რადგან სოფლელნი უმალავენ თავიანთ ავადმყოფთა და მიცვალებულთ, არა თუ მკურნალთ და მოხელეთ, არამედ მღვდელსაც-კი.

## ახალი ამბავი

*** უკვე შესდგა სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობისა 1893 წლისათვის. შემოსავალი აღრიცხულია ვარაუდით 785,759 მან., ხარჯი—805,428 მან. ვალი დაედება ქალაქს მერმისს 19,669 მან. სამერმისოდ შემოსავალი 20,125 მან. მეტია ნაანგარიშევი, ხოლო ხარჯი—79,401 მან. ნაკლები, ვიდრე იყო ამ 1892 წელს.

*** ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნი „მოლა მასრადინას ამბები“, შეკრებილი და გამოცემული ს—ძის მიერ. წიგნი შეიცავს 80 გვერდს და ჰღირს 25 კაპეიკი.

*** შაბათს, 12 დეკემბერს, ბანკის თეატრში დანიშნულია წარმოდგენა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ სასარგებლოდ. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია; ბ-ნნი: კ. მესხი, კ. ყიფიანი, ვ. აბაშიძე და სხვანი. დივერტისმენტში დაუკრავს სკრიპკას ქ-ნი ზანოლლი.

*** მერმისს, იანვრის 22, დანიშნულია ტფილისის სასამართლოს სისხლის განყოფილებაში საქმე მღვ. არარატიანცისა, რომელსაც ჰბრალდება წელს ნათლიღებას სომეხთ იორდანეს ხიდის ჩატეხის დანაშაული.

*** იმ წარმოდგენიდამ, რომელიც ამას წინად გაიმართა კუკიის სამრევლო სკოლის სასარგებლოდ, შემოუვიდა სკოლას 235 მან. 58 კაპ. წმინდა შემოსავალი.

*** 15 დეკემბერს შესრულდება 70 წელიწადი სახელოვანის მეცნიერის პასტერის დაბადების დღიდამ. ამ დღეს კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას განზრახვა აქვს გადასწყვიტოს, ადრესი გაუგზავნოს მთელის „საზოგადოების“ სახელით საფრანგეთის შესანიშნავს სწავლულს პასტერს, რომელიც საპატიო წევრია ზემოხსენებულის საზოგადოებისა. 15 დეკემბრის კრებაზედვე წაკითხულ იქმნება წერილები პასტერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მკურნალი თამამშოვი წაიკითხავს მოხსენებას «ხოლერის აცრა პასტერის ინსტიტუტში».

*** ქანდაკების მოყვარულს აფიცერს გედევანიშვილს, რომელმაც უკვე გააკეთა ბიუსტი შოთა რუსთაველისა, წმ. ნინოსი, მეფე ირაკლი II-ისა და კ. ქ. მამაცაშვილისა, განუზრახავს ახლა გაკეთება თამარ-მეფის ქანდაკებისაცა, რომელიც ამ დღესასწაულებისათვის იქნება კიდეც მზადაო.

*** ჩვენ მივიღეთ მე-12 (დეკემბრის) ნომერი ჟურნალ „Вѣстникъ Виноделія“-სი, რომელშიაც დაბეჭდილია სხვა-და-სხვა წერილები ღვინისა და ვენახების მოვლის თაობაზედ. ამავე ნომერშია შეკრებილი სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთებიდამ მრავალი ცნობა წლევანდელ ღვინის მოსავლის შესახებ. საინტერესოა ამ ნომრის კითხვა-მიგებანიც, გამართული ჟურნალის მკითხველთა და რედაქციას შორის.

*** ჩვენ მივიღეთ მღვ. ჯავაშვილისაგან სამი მანეთი ბ-ნ თ. ჟორდანიას საისტორიო „ქრონიკების“ დასაკვეთად. ამ ფულისა გვქონდა 190 მან. სულ შესდგა 193 მან.

*** ოთხშაბათს, 9 დეკემბერს, კრება ჰქონდა გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს. მონაწილეობა მიიღო კრებაში ქალაქის მოურავის მოადგილემ პ. ა. იზმაილოვმა, რომელიც ეხლახან იქმნა დამტკიცებული წევრად ხსენებულის საკრებულოსი. კრებას განსახილველი ჰქონდა საგანი შესახებ იმისა, რომ ახალი საქალაქო დებულება შემოღებულ იქმნას ტფილისის გუბერნიის ყველა ქალაქებში, როგორც იქ, სადაც უკვე არსებობს თვით-მმართველობა, ისე იქაც, სადაც ჯერ არ არსებობს იგი, მაგალითად, სიღნაღს, თელავს და დუშეთში. როგორც ცირკულიარიდგან სჩანს, ახალი დებულება უნდა შემოღებულ იქმნას 1893 წლის განმავლობაში. მაშასადამე, მერმისს გაზაფხულზედ კვლავ დაიწყება ამორჩევის ციებ-ცხელება ტფილისს, ახალქალაქსა და გორს. უნდა ახალად ამოირჩიონ მთელი საბჭო და მთელი გამგეობა. ვნახოთ, როგორი ფერი დაედება ახალს საბჭოებსა და გამგეობათ. ახალის დებულების ძალით, ამორჩევაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის სახლის პატრონები, რომელთა უძრავი ქონება ღირს არა უმცირეს 1500 მანეთისა, და სხვა წოდებათა შორის მარტო ვაჭრები პირველის და მეორე ხარისხისა.

*** ტფილისის სახლების საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებაში 1 დეკემბრისათვის შეტანილია სახლები, რომელთა ფასიც შეადგენს 6.390,944 მანეთს. 1 ნოემბერს იყო სულ 6.258,544 მანეთისა. მაშასადამე, ნოემბრის განმავლობაში დააზღვიეს სახლები 132,400 მანეთისა. იანვრიდგან-კი პირველ დეკემბრამდე ახლად დაზღვეულ სახლების საფასური შეადგენს 844,000 მანათზედ მომატებულს, მაშინ როდესაც მთელის წარსულის წლის განმავლობაში ახალი დაზღვეული სახლები იყო სულ 222,573 მანეთისა. ამ სახით, აშკარაა, რომ სარგებლობა და აზრი საურთიერთო დაზღვევისა მტკიცედ იკიდებს ფეხს ტფილისის მოსახლეთა შორის, რაიცა დიდად სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან დასაზღვევი ფული ნაკლებად-ღა წავა ტფი-

## ფელეტონი

### ქრისტინე

(მოთხრობა)

I

მაისი იყო, საქმის დღე. მზე საშუადღეოდამ დაჰყურებდა დედამიწას. პატარა ბილიკს გაღაღმა, ბუჩქნარში იჯდა ყმაწვილი კაცი, ასე ოცისა, თუ ოც-და-ორის წლისა და მოუთმენლად იყურებოდა ერთ მხარეს. ხანდახან გაახსენდებოდა, მიიდებდა ცხვირზედ ვარდის კონას, რომელიც ხელში ეჭირა და იყნოსავდა. კოხტა ტანისამოსი და ნაზი შეხედულება უმტკიცებდა, რომ ეს ყმაწვილი არ იყო მუშათაგანი. ბუჩქნარს, რომელშიაც იჯდა ყმაწვილი კაცი, ერთის მხრით ეკრა წიფლის ტყით დაჩრდილული სერი; მეორე მხარეს, შორეულ ფერდობზედ, ყანებში მოჩანდნენ მუშები, რომელთაც სიცხის გამო დაეხადათ ჩოხები, და ისე მუშაობდნენ მცხუნვარე მზის ქვეშ. ყანებს იქით ამართულიყო შაქრის თავივით მოყვანილი ქოჩორა გორაკი, საიდგანაც დაინახავდით შავ ზღვას და, თუ კარგი დარი იდგა, ფოთს სიახლოვეს მიმავალ-მომავალ გემებსაც.

კარგა ხანს იყურებოდა ყმაწვილი კაცი იქითკენ, საიდგანაც, ეტყობოდა, ვიღაცას ელოდებოდა, მაგრამ ჯერ არავინ ჩანდა. უკანასკნელ, ყმაწვილ კაცს მოუთმენლობა მღელვარებად გადაექცა; ხან ადგებოდა და ისევ დაჯდებოდა, მერე ისევ ადგებოდა და ახლო-მახლო მიდი-მოდიოდა. ამასობაში, იმაზედ ცოტა მოშორებით, დადუმებულ ბუჩქნარში სამჯერ თანდათან გაისმა ჩხირის გატეხის ხმა. ყმაწვილმა მოჰკრა ამ ხმას ყური, ელვასავით სწრაფად წამოვარდა ზეზედ და ნელის სტვენით გაეხმაურა. არ გაუვლია მას უკან ერთს წამს, რომ მოისმა ფოთლების ნელი შრიალი, და გამოჩნდა ყმაწვილი ქალი, რომელსაც ხელში ეჭირა ცარიელი კალათი. ქალს ტანთ ეცვა იაფ-ფასიანი ჩითის კაბა, ფეხთ—წუღა, თავზედ ორ შაურიანი „სახოცი“ ეხურა. მაგრამ ამ უბრალო მორთულობაშიაც-კი ისეთი ეშხიანი და სიცოცხლით სავსე სჩანდა, რომ თვალის მოშორება დაგენანებოდა!

— რა ამბავია, ქრისტინე, ასე დაგვიანება! გული დამიდნა! ტკბილად უსაყვედურა ყმაწვილმა კაცმა და აღტაცებულის თვალებით დაუწყო მზერა.

— ვაიმე, ჩემი სიკვდილი! რა მექნა! ბაბას ყანაში სადილი მიუტანე და ახლა იქიდგან მოვალ. შენ არ იცი, იასონ, რა გასაჭირი საქმეა ჩემი აქანაი მოსვლა. ხან იმას ვიგონებ ნენასთან, ხან ამას და ისე მევიპარები. დღეს რომ ყანაში სადილის წაღება არ შემხთენოდა, ვინ იცის, იქნება ვერც ქე მოვსულიყავი, არ გამოვეშვი ნენას. სოფლის კაცის ოჯახში ათასი გუუთავებელი საქმეა! მერე კიდევ ნენას ეშინია ჩემი მარტო გაშობა. ამიზა გეხვეწები, თუ დამიგვიანდეს მოსვლა, ან ვინ იცის, ზოგჯერ სულ ვერ მოვიდე, სხვაფერ ნუ იფიქრებ, იასონ,—უპასუხა ქალმა და დაუწყო მზერა, თითქო უნდა გამოიცნოს—ხომ არ ვაწყენინე ამ სიტყვებითაო.

— არაფერია, შევრიგდებით, ღიმილით უთხრა ყმაწვილმა კიცმა, მოჰხვია ხელი და მხურვალედ ჩაუკოცნა ტუჩები.

— წევიდეთ წყლის პირზედ, ჩვენი წიფლის ქვეშ, უთხრა ყმაწვილმა, როცა კოცნით მოიჯერა გული.

— ვაიმე, დამაგვიანდება და ნენაი გამიწყრება! დანანებით უპასუხა ქალმა.

— არ დაგაგვიანებ. ცოტა ხანს ვიყოთ და მერე-ქე წახვალ,— უპასუხა ვაჟმა, რომელიც ისეთის აღგზნებულის თვალებით უყურებდა ქალს, თითქო უნდა თვალებით შეჭამოსო.

— კაი, წევიდეთ, დამორჩილდა ქალი.

ამას შემდეგ ქალი და ვაჟი, თითქო შველები არიანო, სწრაფად გაძვრნენ ბუჩქებში და გასწიეს მაღალ, დიდ წიფლისკენ, რომელიც თითქო განზრახ გაჰშორებოდა თავის ტოლამხანაგებს და დაბლა, ვაკეში მედიდურად შტოებ გადაშლილი იდგა. ამ წიფლის ქვეშ ადგილი ისე სწორი და სუფთა იყო, თითქოს განზრახ გაუკეთებია და დაუგვია ვისმეო. წიფლის ძირიდან ცოტა მოშორებით მიჩანჩქარებდა პატარა მდინარე, რომელსაც წვრილის შავი-ქვით მოფენილი კალაპოტი და ზევიდან ხეების ჩრდილი საამურ ფერსა სდებდა. როცა ქრისტინე და იასონ (ყმაწვილ კაცს იასონ ერქვა სახელად) მივიდნენ, წაფლის ძირში გასრიალდა პატარა ჭრელი გველი, რომელსაც აქამომდე არხეინად ეძინა გრილოში.

— ვაიმე, რა უნდოდა ამ წყეულს აქანაი! შეშინებით წამოიძახა ქრისტინემ და მიეკრა იასონს.

— ვინ იცის, იქნება ისიც საყვარელს უცდიდა. ვერ ჰხედავ, რავა ლამაზია? გაეხუმრა იასონი, მერე წამოავლო ქვას ხელი და უნდოდა მოეკლა გველი, მაგრამ ქრისტინე ეცა ხელში.

— არ მოკლა, არ მოკლა!

— რატომ?

— ნენაიდგან გამიგონია, ზოგი გველის მოკვლა არ ვარგაო. ეგება აგიც იმისთანა გველია, რომ მისი მოკვლა არ ვარგოდეს.

ლისიდგან სხვა ქალაქებში და სარგებლობასაც ჰნახავენ თვით სახლის პატრონები, რომელთაც წლითი-წლობით შეუმცირდებათ დასაზღვევი გადასახადი და რამდენსამე წლის შემდეგ იმოდენა თანხა მოუგროვდებათ, რომ საზღვევი ხარჯი სრულებით აღარ გამოერთმევათ და სახლები-კი მაინც უზრუნველ-ყოფილი ექმნებათ.

*** სოფ. კეხვი (გორის მაზრა): აქ ძრიელ არის გავრცელებული ყვავილი, რომელიც დიდებსაც-კი შეხვდათ. გახდა ავად სულ 80-მდე სული. გარდაიცვალა რამდენიმე, სულ 4; ბევრმა ძრიელ ადვილად იხადა. 20-მდე ავადმყოფნი კიდევ იქმნებიან. მთავრობამ ცნობანიც შეჰკრიბა.

*** თიონეთი: წელს აქეთ ვერ იყო კარგი მოსავალი. უფრო გვალვამ გაახმო ყოველივე და მკვიდრთ ძლივს შეჰკრიბეს თიონეთის მაზრაში 89,300 ჩეტვერტი, *) მაშინ როდესაც ყოველ წლივ საჭიროა ხალხის გამოსაკვებადა და ნათესლედ არა ნაკლებ 109 ათასის ჩეტვერტისა. დააკლდებათ მაშასადამე 19,700 ჩეტვერტი. აქედამ 3/4 საჭიროა მაზრის მთაში მცხოვრებთათვის, ხოლო დანარჩენი—ბარელებისათვის. უფრო მთიელთა—ხევსურთა და ქისტებს გაუჭირდებათ წელს მოუსავლობის გამო. მათი რიცხვი სულ 1423 კომლია და მათ მოუნდებათ 7000 ჩეტვერტი მაინც იყიდონ. სულ ბევრი იმათ შეიძლონ იყიდონ თავიანთ ხარჯით 700 ჩეტვერტი, ხოლო დანარჩენ 6300 ჩეტვერტის სასყიდლად საჭიროა აღმოჩენილ იქმნას რაიმე წყარო, ან ხაზინიდამ მიეცეთ ხევსურებსა და ქისტებს სესხად 19,110 მან. ასეთია აზრი თიონეთის მაზრის უფროსისა.

*** სოფ. ბაკურციხე (სიღნაღის მაზრა): საშინლად გავრცელდა ჩვენში ქურდობა. ველარც ცხენი, ველარც სხვა საქონელი ველარ დაგვიყენებია. ასე გასინჯეთ, ქურდების შიშით, სარეცხიც-კი ვერ გაგვიფენია კარზედ. 6 დეკემბერს აქ მობრძანდა მაზრის უფროსი და შეჰყარა ყრილობა. ყრილობაზედ ნაკლებად მოვიდნენ გლეხნი უამინდობის გამო. უფროსმა აუხსნა, რომ უნდა ვუშველოთ რამე საქმეს და მოვსპოთ თქვენ შორის ასე გაძლიერებული ავკაცობაო. შემდეგ კვირას მოვალ და უთუოდ უნდა დამისახელოთ, ვინ არიან თქვენში საეჭვონი და ხელ-მრუდენი. თუ ამას არ იზამთ, თუ თქვენის ნებით არ მოგვცემთ ავს კაცებს, მთავრობას ვსთხოვ მამასახლისს ჩაფრებით და იმათ იციან, როგორც გამოაჩინონ ქურდებიო. ეს-კია, რომ იმათი შენახვა დაგიჯდებათ წელიწადში 3000 მან.

აქ ერთმა მადლიანმა კაცმა განიზრახა სასოფლო აფთიაქის გამართვა. სახლები უკვე მზადა აქვს და მალე ყოველ სხვა მოწყობილობასაც გაჰმართავს. მადლია, სწორედ ასეთის საქმის დაწყება სოფლად.

ჩვენი სამრევლო სკოლა, სამწუხაროდ, გამოეთხოვა წუთი-სოფელს; როგორც იყო, მოვახერხეთ მისი დაარსება და დახეთ, რა ბოლო მოუვიდა. ამ უიღბლო სასწავლებლის მასწავლებელს ჯამაგირი არავინ მისცა, ისიც ადგა და მღვდლად ეკურთხა, მშიერი ხომ არ მოვკვდებიო. შეგირდებმა „დედა-ენები“ ისევ მიატოვეს, ზოგმა სკივრში შეინახა და ზოგმა თაროზედ და თახჩაში. ვინ იცის, როდის ეღირსება კიდევ სოფელს ამისთანა საქმის კვლავ ფეხზედ დაყენება.

*** ბათუმი: 3 დეკემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ გამრჩია აქ საქმე კნ. თებრონე მაჭუტაძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა, რომ ბინას აძლევდა გურიის ავაზაკთა და ფირალთ. საქმის გამოძიებამ ცხადად დაამტკიცა, რომ ამ ავაზაკთა მოთავენი სწორედ ამ ქვრივ კნეინას სახლში იმალავდნენ თავს. ვერ გამოირკვა მხოლოდ, ავაზაკთა შემნახველი იღებდა რასმე, თუ არა იმ ნადავლ-ნაძარცვიდამ, რომელიც ავაზაკთ მრავლად ჰქონდათ. სასამართლომ დამნაშავეს გადუწყვიტა გადასახლება ციმბირის შორეულს ქვეყნებში.

კვირას, 6 დეკემბერს, აქ იყო პირველი კრება იმათი, რომელთაც ჰსურთ დაარსება „საურთიერთონდობის საზოგადოებისა“ (Общество взаимнаго кредита). მსურველნი ბლომად არიან. მაგრამ ამ კრებას, რომელსაც უნდა განეხილა წესდება განზრახულის საზოგადოებისა, მხოლოდ ოციოდე კაცი დაესწრო და ისინიც უფრო ქართველები იყვნენ. კრებამ აირჩია კომისია და მიანდო წესდების შემუშავება. აი ვინ მოჰყვნენ კომისიაში, ბ-ნნი: მ. მენდელი, ი. მესხი, გრ. ვოლსკი და ორი რუსი. მათ კანდიდატებად დასახელებულ იქმნენ აქაურ სახელმწიფო ბანკის განყოფილების ბუხგალტერი და თ. პ. ნაკაშიძე.

---

## მთავრობის განკარგულებანი

სამსახურიდამ გადამდგარი ტიტულიარნი სოვეტნიკი ილია მაჭავარიანი კვლავ მიღებულ იქმნა სამსახურში და დაინიშნა შტატ-გარეშე მოხელედ გორის სამაზრო მმართველობისა.

სათადარიგოდ ჩარიცხული და ნება ყოფლობით შესული ჯარის კაცად უნტერ-აფიცრის წოდებისა აზნაური ვლადიმირ ქვარიანი მიღებულ იქმნა კანცელარიის უნცროს მოხელედ ტფილისის სამოსამართლო პალატაში ამა 1892 წლის 1 დეკემბრიდამ.

---

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი).

სწორედ დაუჯერებელი ამბავი მოხდა ჩვენში. ევროპა, აზია და ამერიკა დღეს ცხვირ-ჩამოშვებულები არიან იმის გამო, რომ დრო წახდა, ქვეყანა გალაჩრდა, ხალხი ნამეტნავად წვრილმანი შეიქმნაო და კაცობრიობის ჰორიზონტზედ აღარ გამოჩნდა ნამდვილი გმირი, რომლის ვაჟ-კაცობით, მოღვაწეობით და მხნეობით სული მოებრუნებინა ქვეყნიერობასაო, თავი მოეწონებინა და იმედი მისცემოდათ უძლურთ, რომ ადამიანის ძარღვებში კიდევ ტრიალებს ძალა გმირობისა, რაინდობისა და სხვა ათას გვარ სიკეთისა. ეხლა კი, მგონი, ეს უადგილო სასოწარკვეთილება ჩაილურის წყალს დაჰლევს. თუმცა ბევრს არა სჯერა, მაგრამ მე-კი და ჩემთან ათასი სხვა ჩიტირეკია ყველას პირში ბურთს ჩავუდებთ და სპეტაკი საბუთიცა გვაქვს ხელში. ქვეყნიერობას ეღირსა გმირი და თანაც ისეთი გმირი, რომლის წინაშე უნდა მუხლი მოიდრიკონ ნაპოლეონ პირველმა, ჩინგის-ხანმა, თემურლენგმა, ჰანიბალმა და ბევრმა სხვამაც. ბ-ნ ხონელის შემდეგ რომელი გმირი-ღა უნდა იყოს სახსენებელი! ყველა იგინი, არა თუ მარტო სათითაოდ, არამედ ერთადაც დღეის იქით უნდა ჩრდილში მოჰყვნენ, რადგან ბ-ნმა ხონელმა თავისის სპეტაკის ნათელით სულ დააბრმავა მათი სხივები. ამას მარტო მე-კი არ მოგახსენებთ; ამასვე ჰმოწმობს ყოველი წევრი ერთგვარის საზოგადოებისა, რომელიც თავისის უსუსურის ღონით მთელს ქვეყანას უქადის წალეკას, დაპყრობას, დამორჩილებას და მრავალს ამგვარ სიკეთეს. ასე გასინჯეთ, თვით ბ-ნი Ясамъ-იც-კი გაზეთის პირით ჰმოწმოპს ბ-ნ ხონელის გამარჯვებას, მერე რაში?—საფინანსო საქმეების მოწყობა-გარიგებაში. ეხლა თქვენ თვითონ ივარაუდეთ, თუ-კი ბ-ნმა ხონელმა ასე ბრწყინვალედ გაიმარჯვა საფინანსო მეცნიერებაში, რომლისაც იმას ინჩიც არ გაეგება, მაშ რა მთავარ-სარდლობას გასწევს იმისთანა საგნებში, სადაც იგი აშკარად დახელოვნებულია, მაგალითად, ბაქიაობასა და ტრაბახში, მკვეხარაობასა და თავის-თავის ქებაში? აქ, მე მგონი, იმის ბადალი აღარ გამოუჩნდება, თავის სახელს თვითონვე მოსდებს ქვეყნის პირს და თამამად ეტყვის ყველას: „მე, გამოჩენილი ხონელი, გახლავართ სწორედ ის ისპანიელი ფერდინანდი, რომლობასაც ჩემობდა სულელი გმირი სახელოვანის გოგოლისაო. მეო ტყავი გავაძრე „ივერიასაო“ და მისი რედაქტორი ილია ჭავჭავაძე დავიფრინე ბრძოლის მოედნიდგანაო. მეო... კონვერსიაო... ობლიგაციაო... მეო... ბირჟაო... ჰაი, თქვე არამზადებოეო!.. აბა თუნდა ბ-ნს Ясамъ-სა ჰკითხეთო... Ясамъ-ი... მეო!.. თქვენ როგორ შეგიძლიანთო... ვინა ხართო, საიდგანა სჭყავითო!..

აი გმირობა და გამარჯვება სწორედ ამასა ჰქვიან! ბევრნი ამბობენ, ვითომც ბ-ნი Ясамъ-ი და ბ-ნი ხონელი ერთი და იგივე გმირიაო. მაგრამ ეს დასაჯერებელი არ არის. აბა ნამდვილი გმირი როგორ იკადრებს იმისთანა საქციელს, რომელიც შეეფერება მხოლოდ პაწაწკინტელა კაცუნას, ქონდრის კაცს. ბ-ნი ხონელი ისპანიის ფერდინანდია და იმიტომაც ალჟირის ბეის, ანუ კონვერსიას საქალაქო ობლიგაციებისას, ცხვირზედ მუწუკი გამოჰსვლია. სხვა არაფერი. ბ-ნი Ясамъ-იც-კი ძრიელ დიდსულოვანი ვინმე უნდა იყოს, რომ მაშინვე იცნო გმირი ახალის დროისა ბ-ნ ხონელის მიხვრა-მოხვრაში და მყისვე მორთო მისი ქებადიდება საქვეყნოდ, მისი სახელი მოჰფინა ყველგან და გუნდრუკის კმევით არ დაიღალა. ნეტა ვიცოდეო, რითი გადუხდის ბ-ნი ხონელი ასეთს თავგანწირულ სამსახურს ბ-ნ Ясамъ-ს! ბ-ნი Ясамъ-ი სწორედ უდრის ბ-ნ ხონელს. რა კარგნი არიან ორნივ ერთად და თვითოეული მათგანი ცალკ-ცალკე თავ-თავიანთ ადგილზედ. კაცი ცქერით ვერ გაძღება...

დიდება სახელსა შენსა, უკვდავო გოგოლო!

გეგენაშვილი.

---

## წერილი ქუთაისიდამ

„იგი წავა და სხვა მოვა“.—მზად-დახვედრა სასწავლებლისა.—ღარიბ-ღატაკნი მოსწავლენი.—გაჭირვების ტალკვესი.—უკეთურება ზოგიერთ მკურნალთა.—სასულიერო სასწავლებლის მკურნალი და ფერშალი.—მოვალეობა.—ბატონ-ყმები.

ქართული ანდაზა „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო“, სწორედ ჩვენზედ ახდა. როგორც იყო, დავაღწიეთ თავი ხორველას, ახლა სხვა სნეულება გვესტუმრა; დღეს ყელ-ჭირვებით (скарлатина) ქუთაისში ბევრნი არიან ავად, უფრო-კი შეგირდები ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა. როგორც გავიგე დღეს, მარტო სასულიერო სასწავლებელში თორმეტი ყმაწვილია ავად ყელ-ჭირვებით. ორიოდე ყმაწვილი დიფტერიტითაც გახდნენ ავად.

მადლობა ღმერთს, რომ ამ სასწა-



---

იასონმა გაიცინა და გააგდო ქვა ხელიდგან. ამასობაში გველი წავიდა და ქრისტინე და იასონ დასხდნენ წიფლის ძირში. იასონმა მოჰხვია ქალს ხელი, ჩაიკრა გულში და დაუსრულებლად ჰკოცნიდა. ქალიც თითქო თავდავიწყებას მიეცაო, მაგრამ, როცა იასონი მეტად გაიტაცა ეშხმა, ქრისტინე წამოხტა ზეზედ და უთხრა:

— რას შობი, იასონ? ხომ გახსოვს ჩვენი პირობა, ჯვარის დაწერამდი და-ძმასავით უნდა ვიყოთო. შენ, აგი ერთი ხანია, გატყობ, სხვანაირათ მექცევი. ხომ არ გინდა ჩემი ხელით მოვიკლა შენს წინ თავი!

— რა არის, გეხუმრე და, თუ გწყენს ჩემი ხუმრობა, სულაც აღარ გაგეკარები აწი! ნაძალადევის გულციობით უპასუხა იასონმა და თითონაც წამოდგა, თითქო წასვლას აპირობსო.

— იასონ! უთხრა ქრისტინემ, რომელმაც თითქო ამ ერთის სიტყვით გამოჰხატა ყოველივე თავისი სათქმელი.

იასონ-კი ხმას არ იღებდა. ქრისტინეს მოადგა თვალებზე ცრემლი და ცოტა-ღა უკლდა ატირებას. კარგი სანახავნი იყვნენ ისინი ამ ყოფაში: ტევრი, მყუდრო მიდამო; თუთხმეტ-თექვსმეტის წლის, საშვალოზე ცოტა მომაღლო, ნაკვთად მოყვანილი ტანის ქალი, სწორი, ცოტათი მოგრძო, ლამაზ, ქერა პირის სახით, დიდრონ ცისფერის თვალებით; მათ ზემოდ თეთრ შუბლზედ მშვენივრად გადატკეცოდა ისრის მსგავსი, წაბლის ფერი წარბები; ქერა მოწაბლისფერო, სხვილად ნაწნავი, ხშირი თმა წელზედ ეყარა. ამ ქალის ქმნილების გვერდთ იდგა ვაჟკაცი, შავგვრემანი, ლამაზის პირი-სახით, რომელსაც უმშვენებდა ახალ-ამოსული, მელანივით შავი წვერ-ულვაში. ჰშვენოდა მეტადრე ყმაწვილ კაცს მეტყველი შავი თვალები. ამათთვის რომ ამ დროს შეგეხედათ, იტყოდით, ესენი ერთმანეთისთვის დაუბადნია განგებას და კიდეც შეხვედრიან ერთმანეთსაო.

— მშვიდობით! უთხრა იასონმა ქალს და გაუწოდა ხელი.

— რას შობი, იასონ, მაგდებ? მიხვალ! კაი წადი! თუ ნასუსი ამას გიჩივა, მომიძულე, წადი!.. წადი!.. ქრისტინეს წასკდა ტირილი.

— რა ვქნა, ქრისტინე, ვხედავ, არ გიყვარვარ, ჩემი ხელის მოკარებაც-კი გეზარება!

— არ მიყვარხარ, არ მიყვარხარ!.. ვინც არ მიყვარდა, იმას ჩემ პირს დუუდობდი საკოცნელად!..

— რა ვქნა, ქირას თუ მთხოვ კოცნაში, მოგართმევ.

— აგია, იასონ! შენ უნდა მიჩიოდე ამას! ჩემი პირი საქირაო ყოფილა, მეტი არაფერი!.. ქირას მოგცემო!.. ქრისტინე უმატებდა ტირილს.

— სუ, ქრისტინე, ვინმე გეიგონებს და მაშვინ რაღაი? დაყვავებით უთხრა იასონმა და დაუპირა კოცნა, მაგრამ ქალმა არ მიიკარა.

— დამეთხოვე, იასონ, დამეთხოვე!.. ქირას მოგცემო!..

— გეხუმრე, ქრისტინე, არ გცხვენია! სუ, ჩემო სიცოცხლევ! ამ სიტყვებით იასონმა გადაუწია თავი და აკოცა ლოყაზედ.

ქალი დანებდა, მაგრამ ტირილს-კი ვერ იკავებდა.

— დავჯდეთ, უთხრა იასონმა, მოჰკიდა ხელი და ორივე ხელახლავ დასხდნენ.

— რა გინდა, ქრისტინე? შენ ხომ ჩემი ხარ და ჩემი. ფიცი ხომ მოგეცი, რაღაის გეშინია? არ გცხვენია ამ უნდობლობისთვის! უნდობლობა უსიყვარულობამ იცის. თუ ვერ მენდობი, გეტყობა, არც გყვარებივარ.

— რას ჩივი, იასონ, თუ არ მიყვარდე და არ გენდობოდე, ამ ღურღუთ ტყეში მოწიფულ კაცთან რა მომიყვანდა! მიყვარხარ, ღმერთმა იცის, იასონ, ისე მიყვარხარ, რომ... მარა... აქ ქრისტინემ სიტყვა აღარ დაასრულა.

— თუ გიყვარვარ და მენდობი, რაღას მტანჯავ! დავდნი კაცი! აგერ ერთი თთვეა, მგონია, რაც ასე ვართ. რა ვქნა, მოწიფული კაცის სისხლი მიდუღს, ველარ მომითმენია. რა გინდა, მაინც ხომ ჩემი ხარ. იფიქრე, თუ ჩემი სიყვარული გაქ, ჩემს სიამოვნებასაც უნდა ცდილობდე. თუ-კი მაწვალებ, რაღა სიყვარული იქნება! გეფიცები, ქრისტინე, ჭლექი გამიჩნდება.

— ღმერთო, რა იქნა, ჯვარის დაწერას ხომ მოვესწრობით!

— მოვესწრობით და შორაც არ არის, მარა მაქამდე რა გვიშავს, ვითამ? მე ხომ მაქამდეც შენი იასონი ვარ. მითხარი, ხომ შენი ვარ, შენი! შენც ხომ ჩემი ხარ, დევიფიცავ, ჩემი ხარ! აქ მოეხვია ქალს და დაუსრულებლადა ჰკოცნიდა.

— შენი ვარ, იასონ, შენი... მარა...

იასონს „მარა“ აღარ ეყურებოდა. ის დაეპყრო გრძნობას, გატაცებით ჰკოცნიდა ქრისტინეს და იკრავდა გულში.

— ნუ, იასონ, ნუ-მეთქი... დააპირა ქრისტინემ თავის შეკავება, მაგრამ თავის შეკავების მაგივრად მისი ლალის ფერი ტუჩები მხურვალედ ჰკოცნიდა იასონის ტუჩებს, თვალებს და შუბლს.

— შენ-და შენი ღმერთი, იასონ, ჩემი სიცოცხლე შენ მოგანდევი და შენ იცი, თუ არ დამღუპავ! უთხრა ქრისტინემ, როცა თავდავიწყებიდან გამოვიდნენ.

— არ გცხვენია, ეჭვიანობ! უსაყვედურა იასონმა.

უკანასკნელ კიდევ მხურვალედ გადაჰკოცნეს ერთმანეთი და შემდეგ მოჩვენებასავით გაქრნენ ერთი-ერთ მხარეს და მეორე—მეორეს.

ე. ნინოშვილი

(შემდეგი იქნება)

ვლებელს თავისი საკუთარი სამკურნალო აქვს. მართალია, რომ ყოველი კეთილი, საშვილიშვილოდ გაკეთებული საქმე, კეთილ ნაყოფსაც გამოიღებს. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამღვდელოებამ დააარსა სასწავლებელთან საკუთარი სამკურნალო, დანიშნა მოსწავლეთათვის ექიმი, ფერშალი და ავადმყოფთათვის საჭირო წამლების ფულიც გადასდო. ეს დაწესებულება ცოტა ხარჯს და ცოტა შრომას არ მოითხოვდა, მაგრამ, აბა ვიანგარიშოთ, რამდენად საჭიროა და სასარგებლო ამისთანა დაწესებულება, რამდენ სარგებლობას მოიტანს და რანაირ უბედურებას ააცდენს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს? განა ამისთანა ხარჯს ხარჯად ჩასთვლის ადამიანი? საზოგადოდ ესეა: ხარჯის გაღება გვეზარება იქ, სადაც უბედურებას და განსაცდელს ვერ ვხედავთ და, თუ უბედურება დაგვატყდა თავსა, მხოლოდ მაშინ შევდივართ სინანულში. დღეს აქაური სამღვდელოება ამ სინანულს აცდენილია: სამკურნალომ, ექიმმა და წამლებმა ფთა შეაკვეცეს იმ მოარულს, რომელმაც ასე უდროოდ თავი იჩინა სასულიერო სასწავლებელში. და რომ ეს ასე არ ყოფილიყო, თქვენ მტერს, რაც საწყალ ბავშვებს დაემართებოდათ.

სასულიერო სასწავლებლის მოსწავლენი ღარიბნი არიან; იმათ სიღარიბეს ცხადად გვიმტკიცებს მათი ჩაცმა-დახურვა, სასმელ-საჭმელი და საცხოვრებელი ბინა. უმეტესი ნაწილი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებისა სცხოვრობს ღარიბ-ღატაკ სახლის პატრონთან, იმისთანა სახლის პატრონთან, რომელიც ემსახურება ხუთ-ექვს ყმაწვილს და ამ სამსახურით თვითონაც თავს ირჩენს, იოლად გამოდის. აბა იფიქროს ადამიანმა, რა მდგომარეობა და ცხოვრება უნდა ჰქონდეს ყმაწვილს, როდესაც თავის სახლის პატრონს თვიურად აძლევს 5, 6, არა უმეტეს შვიდის მანეთისას? ეს ასეა, ასეა იმიტომ, რომ მეტი შეძლება არა აქვთ და ხომ მოგეხსენებათ: „ფეხები ისე გაჭიმე, როგორც საბანი გაგწვდესო“...

ამისთანა უხეიროდ მოწყობილ ცხოვრებაში ჩავარდნილ შეგირდებს, რასაკვირველია, ეჭირვებოდა და ეჭირვება დახმარება, მეტადრე მაშინ, როდესაც მათ შორის ავადმყოფობა იჩენს თავსა. თუ შეგირდებ შორის აღმოჩნდა ვინმე მძიმე ავადმყოფი, (თუნდ მოარულით არ იყოს ავად,) სამკურნალოში ჰგზავნიან და იქ უვლიან, სწამლობენ, ჰპატრონობენ და, თუ უბრალო ავადმყოფობით არის ვინმე ავად, იმას-კი სახლში აძლევენ წამლებს და იქ სწამლობენ.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი მეტად დიდი სასწავლებელია, იმაში დღეს ექვსასამდე მოსწავლე ირიცხება. იშვიათი წელიწადი იქნება, რომ ამოდენა რიცხვში რამდენიმე არ გახდეს ავად გადამდებ ავადმყოფობით; ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი უბედურობა დატრიალდებოდა მოსწავლეთა შორის, რომ არა ჰქონოდათ სამკურნალო და წამლები, არა ჰყოლოდათ ექიმი. დღემდე თუ ასე ადვილად ურჩებოდნენ უბედურებას მოსწავლენი, სწორედ ზემოდ დასახელებულ ღონისძიების წყალობით. შემდეგშიაც ეს კარგი ბედი მოელით ყმაწვილებს, უკეთუ არ მოაკლდებათ მოწყალება სამღვდელოებისა, აწინდელი სიფხილე სასწავლებლის მთავრობისა, მხნეობა და გულდობა მკურნალისა და დაუღალაობა ფერშლისა.

გამიგონია, მკურნალები გაყიზინებული, ანგარიშის ხალხიაო. სხვათა ჭირით—ღობეს ჩხირიო. ასეთის აზრისაა ბევრი მათ შორისაო. გამიგონია და ვიცი ისიც, რომ ბევრი გადამდებ ავადმყოფობას დიდად ერიდება: ზოგიერთი არც-კი ეკარება ამისთანა სენით შეჭირვებულს, მეტადრე დიფტერიტიანს: შვილების პატრონები ვართ, ხომ დავიღუპენითო. თქვენც გეხსომებათ, ზოგი უფულოდ, უდიდფულოდ ფეხს არსად გადაადგამს, ხელს არ გასძრავს. კბილის ექიმს, თვალის ექიმს მარტო ერთისა და მეორის გაშინჯვაში მოუთხოვნია 5—6 მანათი.

კარგად მახსოვს, ზოგიერთნი მკურნალნი ისე დაფთხნენ ხოლეროების დროს, რომ ერთნი ამბობდნენ: ვერ წავალთ ხოლერიანთან, ცოლშვილის პატრონები ვართო; მეორენი იძახდნენ: კლუბის წევრნი გახლავართ და აბა საზოგადოებაში როგორღა გამოვცხადდეთ, თუ ბაცილები ტანისამოსზედ დაგვეხვევიანო;— კარგად მახსოვს ისიც, რომ ერთმა ავადმყოფმა მიიწვია ექიმი და, როდესაც ეს უკანასკნელი დაბრუნდა და ჯდებოდა ეტლში, მივიდა იმასთან ერთი ღარიბი კაცი; ჯერ მიესალმა, მერე მიუთითა თავის ღარიბ ქოხზედ და შესთხოვა: აქ ჩემი შვილია ძლიერ შეწუხებული და გთხოვთ მობძანდეთ სანახავადაო. მერე რა პასუხი მიიღო? ქუჩაში დახვედრა და თხოვნა ვის გაუგონიაო, ჩემს სახლში მოდი და იქ შემატყობინეო. ჩაჯდა ეტლში და გასწია სახლში.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მკურნალი ასეთი არ არის. იგი გაბედვით და დაუზარელად ასრულებს თავის მოვალეობას. ხოლერობის დროს იჩინა მან თავი გაბედულებით და მხნეობით, როდესაც იგი განუყრელი გუშაგი იყო ხოლერით ავადმყოფებისა ბარაკებში და შემდეგ სასულიერო სასწავლებელში, როდესაც სხვა-და-სხვა გადამდებ სნეულებით ავად დახდნენ ბავშვები. ყოველ-დღე ავადმყოფებთან იყვნენ მკურნალი და ფერშალი, თითქო ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მხნეობაში და არ აკლებდნენ ყურადღებას, წამლობას და მოვლას. იტყვიან, მოვალეობა აუსრულებიათო. თქვენს პირს შაქარი. ყველამ რომ ჩვენი მოვალეობა ავასრულოთ, რაღა გაგვიჭირდებოდა და განა ჩვენს ბედს ძაღლი-ღა დაჰყეფდა!? აბა ბატონები მაშინ ვიქნებოდით და სიამოვნებითაც ვეტყოდით ერთმანეთს ძველებურს სასიმღერო სიტყვებს:

„ძმაო, რა სჯობდა ძმობასა
ერთმანეთისა ყმობასაო“!

ამიერ-იმიერი

---

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** ძლივს ცოტა გაბედვით მოეკიდა სამინისტრო პანამის საქმეში გარეულთ და ცოტათი მაინც დაამშვიდა აღელვებული საზოგადოება. უკვე გარდაწყვეტილია, რომ ყველა, ვისაც-კი პანამის საზოგადოებისაგან ქრთამი აუღია, სასტიკად იქნება დასჯილი, თუნდა ქრთამი მხოლოდ იმიტომ აეღოს, ავი საქმე დავფაროვო და ეთქვას, მე ვერას ვხედავ, არა ვიცი რაო. ამ დაქრთამულთ კანონი იმითი დასჯის, რომ მოკლებულ იქნებიან თავიანთ მოქალაქებრივ უფლებას და ხუთის წლის ციხეში იქნებიან დაპატიმრებულნი. ძველი სამინისტრო ისე იქცეოდა, თითქო რიღასიც ეშინიან, თითქო თითონაც გარეულია ავკაცობაში და გამოაშკარავებას ვერა ჰბედავს, ჩირქი მეც არ მომეცხოსო. სწორედ ამ გარემოებით ისარგებლეს გერმანელმა ჟურნალ-გაზეთებმა, ერთი სიხარულის ყიჟინა დასცეს—რუსეთს არაფრად მოსწონს ეს სამარცხვინო საქმე თავის მეგობარ ფრანგებისა და ამას შემდეგ, იმედია, მეგობრობასაც შესწყვეტს, რადგან რუსეთი თავის დღეში არ იკადრებს ასე შერცხვენილ მთავრობას დაუმეგობრდეს და დაუკავშირდესო. კარნოსი არ იყოს, თუნდ კიდეც დამტკიცდეს, რომ საფრანგეთის პალატაში იმისთანა კაცი ჰყოლიათ, რომელიც ქრთამის აღებასაც ჰბედავს, ეს გარემოება კიდევ სრულიად არ დაამტკიცებს იმას, რომ მთლად პალატა მოქრთამეა. რაც უფრო სასტიკად იქნება დასჯილი ეს პალატისა და თავის ამომრჩევთა წარმომადგენელი დეპუტატი, იმდენად მეტად გასპეტაკებული გამოვა თვით პალატა ამ ჭუჭყიან საქმიდამ.

**გერმანია.** თუმცა წლევანდელი შემოსავალი ამ სახელმწიფოსი ნაკლებია და კარგა ნაკლებიც, ვიდრე ხარჯი, მთავრობა მაინც თავისას არ იშლის და, სამხედრო პროექტის გარდა, რომელიც, ეტყობა, უარ-ყოფილი იქნება, თუ შუა გულის დასი იეზუიტებს თავისუფლებას არ დაჰპირდა, ახალ ყაზარმას ეპირება შიგ ბერლინში; ამ შენობისათვის მთავრობა რამდენსამე მილიონს თხოულობს; გვარდიის სავარჯიშო მოედნის სასყიდლად—კიდევ რამდენსამე მილიონს, ახალ სამხედრო ხომალდის ასაგებად—კიდევ რამდენსამე მილიონს და სხ. და სხ. სულ რომ ჩამოვთვალოთ და ყველა ჩამოთვლილი თხოვნა მთავრობისა განხორციელდეს კიდეც, გერმანია ერთს უზარ-მაზარ ყაზარმად გადიქცევა ამ ცოტა ხანში და სახელადაც ამ ქვეყანას ყაზარმეთი თუ დაერქმევა. საუბედუროდ, ამ გზას მხოლოდ პრუსია-კი არა, მთელი გერმანია დასდგომია, რადგან პრუსია ბრძანებს და სხვანიც მის ბრძანებას მისდევენ. უწინ, იმ დროს როდესაც გერმანიაში რამდენიმე პატარ-პატარა დამოუკიდებელი სამეფო, სამთავრო, საჰერცოგი და საგრაფო იყო, სულ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ—განათლებით, კულტურით ვინ უფრო წინ წავაო? ეს ის დრო იყო, როდესაც ყველგან გაისმოდა:—გაუმარჯოს გაერთებულ გერმანიასაო! რომ სცოდნიყოთ, გაერთიანებული გერმანია მხოლოდ გაერთებულ ყაზარმად გადაიქცევაო, დავიჯეროთ ისეთის მჭერ-მეტყველებით იქადაგებდნენ სამშობლოს გაერთიანებას მაშინდელნი მამულის-შვილნი?!.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება გვიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით, მადლობა გამოუცხადოთ იმათ, რომელთაც შემოსწირეს წიგნები და ფული ახლად დაარსებულ ქართულ სასახლო ბიბლიოთეკას: მღვ. ვ. კარბელაშვილმა—1 მ., ი. გომელაურმა და პ. ალბორაშვილმა 11 წიგნი; ნ. გარძელოვისამ—1 წიგნი; ნ. ოდიშელიძემ—ორი წიგნი; „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობამ“—2 წიგნი; ვ. გუნიაშვილმა—1 წიგნი, ზ. ჭიჭინაძემ—9 წიგნი, ზ. აბრამიშვილისამ—2 წიგნი და ან. ფურცელაძემ—6 წიგნი.

ბიბლიოთეკის გამგე ანასტასია წერეთლისა

---

# ნაბოლარა

ხოლერობას

ერთხელ მესამე ყანწზე ვართ და, ვნახოთ, თავს სტუმრები წამოგვადგნენ: ხუთი „კნიაჟნა,“ ნათესავნი ჩვენის კრებისა, და ერთიც ქალაქელი მეგაზეთე.

— ურააა!.. ვანოს გაუმარჯოს, ვანოს!.. საიდგან გაჩნდი, კაცო, შენც ხომ ხოლერამ არ გიფრინა? ყველამ სტუმრებს ხელი ჩამოვართვით და სუფრაზე მოვიწვიეთ.

— აბა ვანოს ოტკა მოართვით!

— არა, ღვინო სჯობია, თუ ცივია.

— ცივია მარა, ასეთს წყაროშია ნადგმა, რომ ქალაქის ყინული ამასთან ცეცხლად გეჩვენება.

— ვანო, ღმერთმა გაცოცხლოს... უკაცრავად, ქალებო, ჯერ სტუმრის სადღეგრძელო დაელიოთ, თქვენ შინაურები ხართ... ღმერთმა შენს კალამს გამარჯვება მისცეს და ათი-ათასი ფეთი ქაღალდი დააწერინოს.

მრა-ვალ-ჟა-მი-ერ,

. . . . . . . . . . . .

— აბა, ვანო, სამადლობელი მოირთვი!

— რჩვი, რჩვი!

— „მადლობელი ვარ, ყმაწვილებო, სადღეგრძელოსთვის. რჩვისა-კი რა მოგახსენოთ, ესლა რჩვების თავი ვისა აქვს?.. დიდი ვარამი დაეწვა ჩვენს ქვეყანას, დიდს განსაცდელში ჩავარდა ჩვენი ხალხი. შეშინდა, თავ-გზა აერია. ერთი მეორეს აღარ ეკარება, ყველამ მუშაობაზე ხელი აიღო, სახლ კარსა სტოვებს და გარბის, საითაც ფეხები წაიყვანს. შინ მხოლოდ მოხუცი და დავრდომილი რჩება უპატრონოდ, ულუკმაპუროდ. ზოგი სენით იხოცება, ზოგი უპატრონობით. ზოგ სოფელში საფლავის გამთხრელიც-კი არ იშოვება, მკვდარი სამარესთვის ვერ მიუბარებიათ. ამაზედ უმეტესი უბედურება არ ნახულა, არ გაგონილა. რა ეშველება, რა იხსნის ჩვენს ხალხს?—აი დღეს ყველას თავ-სატეხი საკითხი და სალაპარაკო.

„მოგეხსენებათ, რომ ეს სენი, რომლის სახელი თავ-ზარსა სცემს დიდს და პატარას, ჯერ ბაქოში გაჩნდა. ბაქოელებმა ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციეს, და თანდათან გაძლიერდა. ბაქოში მკვიდრი ძალიან ცოტაა, ისიც უფრო ხელ-მოკლე და უგნო. მთელი ქალაქის ავლა-დიდება სულ უცხოელების ხელთ არის. გაუგიათ, რომ იქ უხვი საკვებ-სალაფავია, ზღვის-ტოლა მორევია ნავთისა, და ყიაყ-ყორან, ტურა-მგელ, კოდო-ბუზივით გარს შემოხვევიან უპატრონო, ულევლს სიმდიდრეს. ღოკავენ და სლაპავენ, ჭკნავენ და ჭყლაპავენ, იღორებენ მუცელს, ივსებენ ჯიბეს, სკივრებს, და სხვა არაფრის დარდი არა აქვთ. სენი რომ უახლოვდებოდათ, ყურიც არ შეიბერტყეს და, როცა კარს მიადგათ, მაშინ-კი ივადრეს ღმერთის მიტოვება. დაიძრნენ, გამოიქცნენ, გამოცუხცუხდნენ, გამოხაჯხაჯდნენ, გამოფრინდნენ, თავს უშველეს, საითაც-კი მოასწრეს, და სენი მთელს ჩვენს ქვეყანას მოსდეს სწორედ ისე, როგორც ყვავი ნისკარტ-ნაკრავ წიწილას სისხლით კალოდგან თავის ბუდემდე წითელს წრეს გაავლებს, და როგორც ფქვილში ამოგანგლული თაგვი ნახვით მოქლესილ გოდრიდგან სორომდე თეთრს კვალს დასტოვებს.

„არც-თუ ჩვენი დედა-ქალაქი მოიქცა ბაქოზე უკეთ ქვეყნის წინაშე. გაჩნდა თუ არა იქ ხოლერა, ყველა სოვდაგარი გარედ გაეშურა, მიაწყდა სოფელ-აგარაკებს და თან სენიც გააყოლა. მერე აქედგანაც იგრიალა და ქალაქს დაბრუნდა: იქ ექიმ-წამალი მაინც იშოვებაო. ქალაქი თავის-თავს კარგად უვლის: ექიმებიც დაიქირავა, წამლებიც ბევრი დაიკავეთა, გარეშემო კორდონ-კარანტინებით შემოიზღუდა და, ჩიტი რა არის, ჩიტსაც-კი ექიმის შეუმოწმებლად და წამალ-უბკურებლად არ გაატარებს. სოფელს-კი ქალაქმა ყური არ ათხოვა. ერთი დალევა წამალი მაინც მოეწოდებინა, ერთი უხეირო ფერშალი მაინც გამოეგზავნა, ორიოდე გროში მაინც მოეშველებინა, ერთი მშრალი ხმა მაინც გაეცა, რომ სოფელს გული არ გასტეხოდა!.. არა! თითქო სოფელი ქალაქისთვის სულაც არ არსებობსო!

„ქალაქში ერთი საქველ-მოქმედო საზოგადოებაა, კარგი შეძლებაც აქვს. ხუთას-ექვსასი თუმანი დაურიგა პატარა ქალაქებს, რომელთაგანაც ზოგი ჩვენის ქვეყნის გარეშეა, ხოლერის წინააღმდეგ მოიხმარეთო; ერთს ისეთს ქალაქსაც გაუგზავნა ასი თუმანი, რომელმაც ფული მადლობით უკან დაუბრუნა, ჩვენთვის საჭირო არ არისო. სოფელს?.. სოფელი ვის ახსოვს, ქალაქს სოფლის დარდი არა აქვს...

„სოფელი იღუპება, ექიმი არ არის, წამალი არ არის, მრჩეველი არ არის, და თვითონ ხომ არა გაეგება-რა.

„მეტად... ყმაწვილებო, სიტყვა ძალიან გავაბი, და ხომ არ მოიწყინეთ?

— არა, არა!

— ბძანე, ბძანე!

„ძველად ჩვენს ხალხს ამისთანა მძვინვარე და დაუნდობელს მტერთან საბრძოლველად ერთად-ერთი იარაღი ჰქონდა—გაიხიზნებოდა. ეხლაც გაიხიზნა, მაგრამ ის-კი ვერ იფიქრა, რომ დრო შეიცვალა. აღარც გასახიზნი ადგილებია და არც-თუ მოასვენებენ სადმე ღლეხ-კაცს; თითონაც იმდენი ხარჩო არა აქვს, რომ სამი-ოთხი თვე უადგილოდ გასძლოს. ბევრი გაიხიზნა, მაგრამ თავში ქვას იცემს, უალაგო ალაგას დაერია სენი და ყველამ ისევ თავისი ჭერი მოსძებნა.

„მაშ რა გვეშველება?

— აი რა!

„ჩვენმა ბანკმა ათას-ორასი თუმანი გადასდო სასოფლოდ, დანიშნა კაცი, რომელმაც უნდა ითაოს ხოლერასთან ბრძოლა. ეს კაცი ეხლა აქ არის, რამდენიმე ექიმი და ნასწავლი ყმაწვილი თან ახლავს. მაგრამ ერთი და ორი კაცი რას გახდება, თუ ჩვენ გულ-ხელ-დაკრეფილი ვისხდებით და ქვეყნის განადგურებას გულ-გრილად ვუყურებთ. არა, ბატონებო, ესე არ ვარგა. მეტი ვაჟ-კაცობა, მეტი მხნეობა უნდა გამოვიჩინოთ; დიდი მოვალეობა გვაწევს ზურგზედ იმ ხალხის წინაშე, რომელიც გვზრდის, გვასაზრდოებს და თავის ბედს ჩვენს კალთაში გვიხვევს: შენ იცი და შენმა კაცობამა!

„წავიდეთ, ბატონებო, ქეიფს მერეც მოვესწრობით, ვნახოთ ის მოთავე, რომელიც ბანკს გამოუგზავნია, მოვისმინოთ იმისი სიტყვა-დარიგება და მოვეშ-

ველით შიშისაგან შუა-დაბნეულს ხალხს, რითაც-კი შეგვიძლია.

„ხორველა ისე გადამდები არ არის, როგორც ბევრს ჰგონია, ხოლო სისუფთავე საჭირო და სიბრთხილე, რომ ხორველიანისაგან ჩვენს გვამს არა მოხვდეს-რა. ეს ადვილია, ეხლა წამალიც არის, ფულიც, ცოდნაც, დამრიგებელიც, და კაცები გვინდა, რომ მეცნიერების სიტყვა საქმედ აქციონ. თქვენ, ვიცი, რომ ეს შეგიძლიანთ. აქაური მებატონეები ხართ, ხალხს თავი მოუყარეთ, თქვენზედ უფრო გული ერწმუნება, თქვენს რჩევას უფრო შეისმენს.

„ხომ ხედავთ, რომ ჩვენთვის არავინ არის, ჩვენ თვითონ უნდა ვუპატრონოთ ჩვენს თავს, რომ მტერი არ გავახაროთ.

„რას იტყვით, ყმაწვილებო?..

— ოჰ, შენი გამჩენის ჭირიმე, ვანო, ნეტა, შენისთანა ერთი ასიოდე ნასწავლი კაცი გვყავდეს და ხორველა-კი არა, რაც ქვეყანაზედ ავადმყოფობაა, სულ რო თავს დაგვატყდეს, მაინც ვერ შეგვაშინებს.

— აბა, ყმაწვილებო, ვანოს სადღეგრძელო გავმეორებით. ვანო! ნება მომეცი მაგ მაღალ შუბლში გაკოცო... ღმერთმა ისმინოს შენი სიტყვა და, რაცა გწადიან, აგისრულოს... ჩვენ, ჩემო ვანო, ძმაო და მეგობარო, რასაც გვიბძანებთ, როგორც გვასწავლით და ჩაგვაგონებთ, ისე მოვიქცევით, ყოველ დროს მზადა ვართ სამსახურისთვის. აქამდინაც არა შემოგვიკვეთეთ-რა, თორემ განა ესე ფეხ-მოკვეცილი ვისხდებოდით. ვინ შერცხვენილი თავს დაიშურებს სამშობლოსათვის, თუ-კი მოთავე გვეყოლება. აი, რა-კი ეგრე საქმე, ნახავთ ამას შემდეგ, რა ბიჭებიცა ვართ; მართლა ისე ნუ-კი გგონიათ, რომ ჭამისა და ქეიფის მეტი არა შეგვეძლოს-რა. თქვენ ითავეთ, თქვენ ისარდლეთ და ჩვენ უკანასკნელ სალდათათ გვიგულეთ, თქვენი სურვილი ჩვენი კანონი იქმნება, თქვენ ბატონი იყავით, ჩვენ ყმა!..

— ბრავო, ელიზბარ, ბრავო!.. ნამდვილად ეგრე, რაც ელიზბარმა სთქვა, თქვენ გაგვიძეხით და შერცხვეს, ვინც უკან ჩამოგრჩეთ!

— ღვინოქი დაესუროს!

— აგრე იყოს, აგრე!..

სადღეგრძელოები ამ ლაპარაკზე გამოიწრა. ვაცოცხლეთ ჩვენი მოღვაწენი, ვინც-კი მოგვაგონდა, ქვეყანა გავაბედნიერეთ, მკვდარი აღვადგინეთ და ჩვენც საღვინემ, ცოტა არ იყო, მალე წამოგვაყენა.

დავმახეთ „ცანგალა—გოგონა“, „ბარიშნები“ ვათამაშეთ, დავაბით ფერხული, ველზე ვირბინეთ, ტყეში ვისეირნეთ და საღამოც წამოგვეპარა. ვანოსა და ბარიშნების შინ წასვლის დრო იყო.

ვანო კიდევ თავის ლაპარაკს დაუბრუნდა, დაგვინიშნა დრო და ადგილი, სადაც ბანკისა და კეთილშობილთა წარმომადგენელი უნდა მოსულიყვნენ კვირა დღეს, ჩვენ იქ უნდა დავხვედროდით და საქმეს შევსდგომოდით. წამსვლელნი გამოვეთხოვნენ. მაღლიდგან კარგა ხანს გადავსცქეროდით და ერთმანეთს ხელსახოცებს ვუფრიალებდით...

კვირა დღეს ვანო და ყველანი, ვინც იმან დაასახელა, მართლა ყოფილიყვნენ მახლობელ სოფელში, მაგრამ ჩვენგანი არავინ დახვდა. წინა დღეს ერთი კარგი ტიკჭორა მოგვივიდა და კვირას არსად გაგვიშვა; კარგა, რიგიანად გამოვიბრუჟეთ. მერე... აბა მერე რაღა იქნებოდა?

ვანო იქ აღარ იყო და სხვას არავის დავუბარებივართ.

—

ბოლოს შევიტყე, რომ ქართლს ხორველა, მართლა, ძალიან მოსდებია. ზოგი სოფელი გაუნახევრებია. ქალაქიდგან გამოგზავნილი ექიმები და ახალგაზდობა დღე-და-ღამ დარბოდნენ სოფლიდგან სოფლამდე, მაგრამ რომელ ერთს აუვიდოდნენ. გლეხ-კაცობა ვერ დაამშვიდეს და ვერ დაიყოლიეს. ჩვენს ბანკს რვა-ასი თუმანი კიდევ გადუდვია, მაგრამ ხორველას ერთ ლუკმადაც არა ჰყოფნია. კერძოდ მოუგროვებიათ ფული და ბევრს უხვად შეუწირავს. ისეთებსაც-კი გამოუღიათ, რომლებსაც მიღების მეტი აქამდე არა სცოდნიათ-რა: ერთს ბერს, რომელიც ხვალ-ზეგ არქიელობას აპირობს, ორი მანეთი გამოუმეტნია; დეკანოზს, თითო თუმნობით რო საწირავს იღებს,—ერთი მანეთი; დიდ მოხელეს, ექვს-ას თუმანს რო იღებს ჯამაგირს,—ხუთი მანეთი; მომრიგებელ-მოსამართლეს—ათი შაური; საზოგადო მოღვაწეს, ყველაზე მაღლა რო ყვირის,—ორი მანეთი; ვაჭარს, თავნზე ას სარგებელს რო ცოტაობს,—ერთი აბაზი და სხვ. ამ რიგად ას თუმანზედ მეტი შეგროვილა. ეს ფული რო ხორველისაგან დაზარალებულთ გაუნაწილოთ, თვითო სულს ხუთი კვერცხი მაინც შეხვდება.

კაი ნუგეშია!

ფ.

# დეპეშა

8 დეკემბერი

**პეტერბურგი.** დღეს რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის დამხმარებელი საზოგადოება დღესასწაულობს თავის დაარსების 25 წლის შესრულებას.

საფრანგეთის გამოჩენილი მეცნიერი პასტერი მიღებულ იქმნა საპატიო წევრად სამხედრო სამკურნალო აკადემიისა.

„С.-Петерб. Вѣдом.“ იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა დებულება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მიღებულ იქმნება მათ წინააღმდეგ, ვინც სხვის მინდორს, ბოსტანს ან ბაღს თავის საქონელს მოაძოვებინებს და წაახდენს.

**ტაშკენტი.** ტაშკენტში დაარსდა ქალაქის უფროსის თავმჯდომარეობით კომიტეტი, რომელსაც საგნად ექნება, შეეწეოს აღმოუჩინოს იმ გადმოსახლებულთ, ვისთვისაც ჯერ დასასახლებელი ადგილი არ მიუციათ.

**სამარყანდი.** დღეს ბუხარას ემირი საგანგებო მატარებლით ბუხარადგან გაემგზავრა ჩარჯუის და იქიდგან 14 დეკემბერს პეტერბურგისაკენ გაემართება.

პეტერბურგიდგან გაგზავნილმა კომისიამ დაათვალიერა იმიერ-კასპიის რკინის გზა და გუშინ სამარყანდს მოვიდა. გადაწყვეტილია: ამუ-დარიაზედ ხის ხიდის მაგიერად, რომელიც ეხლაა, რკინისა გააკეთონ.

**პარიჟი.** პალატამ 261 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 246-ისა გადასწყვიტა, სპირტს 254 ფრანკი ბაჟი დავადოთ, და აგრეთვე მოვუმატოთ იმ გარდასახადს, რომელიც დაწესებულია იმათთვის, ვინც სამკვიდროს კანონიერად დაეპატრონება.

**სოფია.** საერო კრებამ დაამტკიცა კანონ-პროექტი კონსტიტუციის განხილვის შესახებ. ამ კანონ-პროექტის წინააღმდეგ იყო ცამეტი დეპუტატი, მათ შორის მინისტრებად ნამყოფნი: სტოილოვი, ტონჩევი და სტრანსკი.

პეტერბურგის ბირჟა, 8 დეკემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,97 | 8,00 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 159¼ | 160 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,19 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 243 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 192 | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—

## ნიხრი

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ 4 „
„ „ 2 „ „ „ 3½
„ „ 3 „ „ „ 3 „
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ 5 კ.
„ „ „ 2 „ 4 „
„ „ „ 3 „ 3½

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. 7 კ.
მე-2 „ „ „ „ 5 „
მე-3 „ „ „ „ 4 „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 7 კ.
სუკი — — — 12 „
ცხვრის ხორცი — — 7 „

# განცხადებანი

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მთავრობის ნებართვით გავხსენით ქ. სიღნაღში, იაკობ ფირალოვის სახლებში სამკითხველო ყველა ნაირ ქართულ-რუსულ და აგრეთვე სომხურ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა ა. მაჭავარიანისა და ამხ.

ფასები შემდეგია:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ერთის წლით . , . . . | 4 | „ |
| ნახევარის წლით . . . | 2 | 50 |
| სამის თთვით . . . . . | 1 | 30 |
| ერთის თთვით. . . . . | „ | 50 |
| ერთის კვირით . . . . | „ | 15 |
| სამკითხველოში კითხვა | „ | 2 |

მსურველთ დანარჩენი პირობანი შეუძლიანთ სამკითხველოშივე შეიტყონ.

ა. მაჭავარიანი

(5—5)

## „ქართველთა ამხანგობის“

წიგნის მაღაზიაში და ამხანაგობის აგენტებთან ისყიდება ამხანაგობის შემდეგი გამოცემანი:

თხზულებანი ილ. ჭავჭავაძისა.

ფასი

I ტ. ლექსები და პოემები, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი . . . 1 მ. 20 კ.
იგივე ყდით და კარგ ქაღალდზედ . . . . 2 მ. 50.
II ტ. მოთხრობები . 1 მ. „
იგივე კარგ ქაღალდზედ და ყდით . . . 2 მ. 50.
IV ტ. „იზა“ რომანი ბუვიესი, თარგმანი . 1 მ. 60.
იგივე, კარგ ქაღალდზედ 2 მ. 50.

თხზულებანი ყაზბეგისა:

I, II, III და IV ტ. ამ ტომებში მოთავსებულია სხვათა შორის: ელგუჯა, მამის მკვლელი, მოძღვარი, ელისო, ხევის ბერი, გოჩა და სხვ. . 4 მ. 80.
ცალკე თითო ტომი . 1 მ. 20.
იგივე, კარგ ქაღალდზედ და ყდით, ოთხი ტომი . 9 მ. 50.
ცალკე თითო ტომი . 2 მ. 50.

თხზულებანი ი. დავითაშვილისა, ავტორის სურათით . „ 80.
იგივე ლამაზის ყდით . 1 მ. 25.
„ბნელო“ მოთხრობა მელანიასი (ფსევდონიმი) . „ 40.
იგივე, ლამაზის ყდით . „ 90.
სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა . . . „ 20.
ხალხური ზღაპრები წ. I „ 30.
იგივე, ლამაზი ყდით . „ 75.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა—პოემა ბაჩანასი . „ 15.
სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიული საჭმელებისა . . . 1 მ. 20.
იგივე ყდით . . . 1 მ. 40.
„ჩანგი“ . . . . 1 მ. „
კედლის კალენდარი 1893-ლ. . . . . . „ 40.

## ქავახანა.

რომელიც ბარიატინსკის ქუჩაზედ იმყოფებოდა, გადავიდა მიხეილის ქუჩაზედ, ფინკის საკანდიტერო მაღაზიის პირდაპირ.


## „სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თხზ. დ—რის ლორენცისა.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(36—18)


## „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა, პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |